

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის

ოქმი N7

თბილისი, 2 ივლისი,

2021 ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის საჯარო განხილვის სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე. სხდომას ესწრებოდნენ: ნინო გოგლიჩიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი. ლაშა მაჭარაშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი. კვალიფიკაციების სამმართველოს სპეციალისტი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 15 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი: რამაზ ქურდაძე, ირინა ლობჯანიძე, მანანა ტაბიძე, მარიამ კობერიძე, მარიამ მირესაშვილი, ნესტან კუტივაძე, ბელა წიფურია, თეიმურაზ გვანცელაძე, მზია შენგელია, ნუნუ გელდიაშვილი, ირაკლი ხვედელიძე, მარიამ მანჯგალაძე და ნათელა მელიქიძე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ, რამაზ ქურდაძემ საბჭოს წარუდგინა დღის წესრიგი, დარგობრივი მახასიათებლის შესახებ საბჭოს წევრთა კომენტარების განხილვა.

მოისმინეს:

1. რამაზ ქურდაძის წინადადება - სწავლის სფეროს აღწერის მე-3 აბზაციდან პრაგმატიკის ამოღების შესახებ;
2. რამაზ ქურდაძის წინადადება - სწავლის შედეგების 1-ლი აბზაცის სტილისტურად გამართვის შესახებ;
3. ირინა ლობჯანიძის წინადადება - ბაკალავრიატის სწავლის შედეგებში, უნარის კომპონენტის მე-4 პუნქტის ფორმულირების: „ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ნაშრომს; გადმოსცემს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით კრიტიკულად იხილავს, აფასებს, ასაბუთებს, აჯამებს მას და

ამის საფუძველზე აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას." შეცვლასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეს პუნქტი, სავარაუდოდ, საბაკალავრო ნაშრომს ეხება, განსაკუთრებით პირველი წინადადება. საბაკალავრო ნაშრომი - ბაკალავრიატში სავალდებულო არ არის და სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული. ამ სახით თუ დარჩება, ნაშრომი სავალდებულო გახდება ყველა პროგრამისთვის. უმჯობესია სწავლის შედეგიდან პირველი ნაწილის ამოღება და ტექსტი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: "გადმოსცემს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით კრიტიკულად იხილავს, აფასებს, ასაბუთებს, აჯამებს მას და ამის საფუძველზე არსებული აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას."; საბჭოს მდივნის მე-2 კომენტარი ეხებოდა 3.2.1-ის მეორე პუნქტს: "სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და საზოგადოებაში მის როლს;" უმჯობესია აღნიშნული ფორმულირება ჩასწორდეს ბაკალავრიატის მსგავსად, რადგანაც შინაარსით გამოდის, რომ ლინგვისტური კვლევის ასპექტს ენობრივი ვარიაცია წარმოადგენს, არადა ენის სხვადასხვა ასპექტი თვითონ ექვემდებარება ვარიაციას და შემდეგ კვლევას. სასურველია ტექსტი შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: "სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში.";

4. რამაზ ქურდაძის წინადადება სწავლის შედეგებიდან შემდეგი ფორმულირების ამოღების შესახებ „ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი/ ბაკალავრი“;
5. სწავლება-სწავლა შეფასების I-IV აბზაცების ფორმულირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
6. რამაზ ქურდაძის წინადადებით სწავლება-სწავლა შეფასების ქვეთავში სასურველია სტილისტურად გასწორდეს ბოლო აბზაცის „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები" ასევე ქვეთავის „4.2. სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები“ დასახელება უმჯობესია სტილისტურად გასწორდეს. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით 4.4. ქვეთავში მოცემული შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების 1-ლი აბზაცის ფორმულირებაში სიტყვა ხერხებს აჯობებს სხვა უფრო მისადაგებული ტერმინით შეიცვალოს. ასევე ქვეთავში 4.5 „სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება“ სასურველია, სტილისტურად გაიმართოს 1-ლი აბზაცის ფორმულირება. ქვეთავში 4.6. შინაარსობრივად და სტილისტურად უნდა გაიმართოს მოცემული ფორმულირება: „კვლევითი კომპონენტი მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი პროგრამაში და მისი თანამიმდევრული განხორციელებით უნდა მიიღწეოდეს სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარება, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომით (სამაგისტრო ნაშრომით) დადასტურდება.“

7. ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მაჭარაშვილმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს რომ განესაზღვრათ ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ოპტიმალური ვადა, მისი თქმით 2022 წელს კლასტერული აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ქართული ფილოლოგიის პროგრამებსაც უწევთ აკრედიტაცია და აღნიშნულისთვის საჭიროა გონივრული ვადების გასაზღვრა დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანისთვის.
8. რამაზ ქურდაძემ საბჭოს კენჭისყრაზე დააყენა დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საკითხი დათქმით, რომ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დაადგინეს

1. საბჭოს გადაწყვეტილებით სწავლის სფეროს აღწერის მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „ენათმეცნიერების (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა და სხვ.) და ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის ისტორია, თეორია, კომპარატივისტიკა და სხვ.) დისციპლინებთან ერთად სწავლის სფერო მოიცავს ინტერდისციპლინურ მიდგომებსაც.“
2. საბჭომ გაიზიარა რამაზ ქურდაძის წინადადება და სწავლის შედეგების 1-ლი აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნისა და უნარების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) დასრულებისას.“
3. ბაკალავრიატის სწავლის შედეგების, უნარის კომპონენტის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს; გადმოსცემს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას.“ შეცვლასთან დაკავშირებით; ბაკალავრიატის სწავლის შედეგების 3.1.1.-ის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „აქვს ფართო ცოდნა ლინგვისტური კვლევის ასპექტების, ენობრივი ვარიაციის, ენის ცვლილებისა და მისი როლის შესახებ საზოგადოებაში“;
4. საბჭოს გადაწყვეტილებით, ფორმულირება „ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი“ ამოღებულ იქნა დარგობრივი მახასიათებლიდან.
5. საბჭომ იმსჯელა რამაზ ქურდაძის წინადადებასთან დაკავშირებით და დარგობრივი მახასიათებლის სწავლება-სწავლა შეფასების ქვეთავის I-IV აბზაცების ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად,

მნიშვნელოვანია, შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა იქნეს გათვალისწინებული სწავლების საფეხურიც — საბაკალავროდან სამაგისტროზე გადასვლისას სტუდენტისათვის დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ინტენსიურად უნდა გამოიყენებოდეს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები.

სტუდენტის შეფასების სისტემა ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსის მიზნებთან მიმართებით. შეფასების სისტემა უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და აფასებდეს სწავლის შედეგს იმ კრიტერიუმებით, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, შეფასების მიზნებსა და მეთოდებთან შესაბამისობას, გამჭვირვალობას.

ქვემოთ წარმოდგენილი სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდები ყველაზე გავრცელებულია, სარეკომენდაციო ხასიათისაა და განისაზღვრება კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

6. საბჭომ გაითვალისწინა რამაზ ქურდაძის წინადადება და სწავლება-სწავლა შეფასების ქვეთავში არსებული ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები“ ასევე ქვეთავის „4.2. სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები“ დასახელება ჩასწორდა შემდეგი სახით: „4.2. სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები“. ქვეთავი 4.4.-ის 1-ლი აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების მეთოდებს“; 4.5. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების ქვეთავის 1-ლი აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად;

„პრაქტიკული კომპონენტი აუცილებელია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ის უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული თანმიმდევრული სტრუქტურით, მჭიდროდ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან“; საბჭომ გაიზიარა ქვეთავის 4.6. ფორმულირების ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „კვლევითი კომპონენტი მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი პროგრამაში და მისი თანამიმდევრული განხორციელებით სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი (სამაგისტრო) ნაშრომის შესრულებით დასტურდება.“

7. საბჭომ იმსჯელა ლაშა მაჭარაშვილის შეკითხვის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებით ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ოპტიმალურ ვადად განისაზღვრა დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 9 თვე.
8. საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დათქმით, „გამოქვეყნდეს ამოქმედებისთანავე. დარგობრივი მახასიათებელი ჩამოყალიბდეს დანართი 1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 18:00-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე



რამაზ ქვირიკიძე

საბჭოს მდივანი



ირინა ლობჯანიძე

დანართი 1

დანართი N3

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი
უმაღლესი განათლების VI და VII საფეხურები

2021

I. შესავალი

ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს; ემსახურება განათლების სისტემისადმი საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვასა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ფილოლოგიის (0232.1.1 ქართული ფილოლოგია Georgian philology; 0232.2.2 ქართველური ენათმეცნიერება, Georgian (Kartvelian) Linguistics; 0232.2.4 ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია Georgian Literature/History of Georgian Literature) კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, აუცილებელი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 (შვიდი) წელი.

ქართული ფილოლოგიის (ქართული ენა და ლიტერატურა – შემდგომში ქართული ფილოლოგია) დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების

თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას; პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას და შემდგომ პროფესიულ განვითარებას; კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას; უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებას; აგრეთვე, ქართული ფილოლოგიის სწავლის სფეროში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებას, მოქნილობასა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

აღნიშნული დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც შეიძენს/გამოიმუშავებს სტუდენტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შეიძლება გამოიყენოს პირმა, თუ იგი მონაწილეობს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხილვაში.

დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა/გამოყენება ასევე შესაძლებელია:

- აბიტურიენტისათვის, რომელსაც სურს, შეისწავლოს ქართული ფილოლოგია;
- სტუდენტისათვის, რომელსაც აინტერესებს, რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისათვის, რომელსაც სურს, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია ქართული ფილოლოგიის სწავლის სფერო, ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

დარგობრივი მახასიათებლით ქართული ფილოლოგიის მიმართულებით პროგრამების განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულია სარეკომენდაციო (სწავლება-სწავლა-შეფასების მეთოდები) და სავალდებულო (სწავლის შედეგები) დებულებები. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ქართული ფილოლოგიის სწავლის სფერო განისაზღვრება ზოგადად ჰუმანიტარულ და კონკრეტულად კი ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნით, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებებით, ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ლიტერატურის განხილვით.

ქართული ფილოლოგიის სწავლის სფერო შესაბამისი პროგრამებით სტუდენტს უვითარებს ტექსტის ანალიზის, კრიტიკულად გააზრების, კონტექსტუალიზაციის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარს; ასწავლის ქართული ენის და/ან ამასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურას, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას; უყალიბებს საჭირო დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს; ხელს უწყობს კულტურულ-მსოფლმხედველობრივ მრავალფეროვნებათა გააზრებასა და დაფასებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებას.

ენათმეცნიერების (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა და სხვ.) და ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის ისტორია, თეორია, კომპარატივისტიკა და სხვ.) დისციპლინებთან ერთად სწავლის სფერო მოიცავს ინტერდისციპლინურ მიდგომებსაც.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხური ქმნის წინაპირობას ამავე სფეროს მეორე, სამაგისტრო საფეხურისათვის, რომელშიც ქართული ფილოლოგიის ცალკეული დარგების მიხედვით ხდება სწავლისა და კვლევის გაღრმავება, ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური ინტერესების გაფართოება შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენციების ათვისებით.

ქართული ფილოლოგიის სწავლის სფერო ითვალისწინებს სტუდენტისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის კომპლექსური ცოდნის გადაცემას, რომლის გამოყენებაც კურსდამთავრებულს შეუძლია: საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ).

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნისა და უნარების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) დასრულებისას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე უფლებამოსილია, სწავლის შედეგები, სამივე კომპონენტის (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე.

3.1. ბაკალავრიატი

3.1.1. ცოდნა-გაცნობიერება

- აქვს ქართველური ენათმეცნიერების ფართო ცოდნა; აღწერს ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხებს; იცნობს ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითად თემებს;
- აქვს ფართო ცოდნა ლინგვისტური კვლევის ასპექტების, ენობრივი ვარიაციის, ენის ცვლილებისა და მისი როლის შესახებ საზოგადოებაში;
- აღწერს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ქართული ზეპირსიტყვიერების პროცესებს;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ძირითადი ასპექტების შესახებ; განიხილავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

3.1.2. უნარი

- დარგობრივი მიდგომით მსჯელობს ქართველური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე, პრაქტიკულად ერკვევა, ხსნის და გადმოსცემს ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის; ქართული ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიის საბაზისო საკითხებს;
- განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს; ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების სავსე და/ან სხვა მეთოდებს; იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს, ახდენს მის ინტერპრეტირებას და კონტექსტუალიზაციას მსოფლიო ლიტერატურის ეპოქებთან, მიმდინარეობებთან, სხვადასხვა კულტურულ სტილთან, ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ პროცესებთან მიმართებით;
- ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს; გადმოსცემს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას.

3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, ქართული ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშავებს კრიტიკულ მიდგომას; განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს;
- ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით ანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ მოვლენებს; გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების მიმართ;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

3.2. მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული, პროგრამის მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

3.2.1. ცოდნა გაცნობიერება

- ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა, სისტემურ ცოდნას, რაც მოიცავს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის თემებს;
- სიღრმისეულად განიხილავს ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ასპექტს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში;
- ამჟღავნებს ქართული ლიტერატურის პერიოდების, ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი ტექსტების, ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების ღრმა სისტემურ ცოდნას;
- მრავალმხრივ ანალიზებს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

3.2.2. უნარი

- საფუძვლიანად მსჯელობს ქართველური ენათმეცნიერების საკითხებზე, სიღრმისეულად ანალიზებს და გადმოსცემს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის საკითხებს;
- კომპლექსურად განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს; სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების სავსე და/ან სხვა მეთოდებს;
- საფუძვლიანად აღწერს და ხსნის ქართულ ლიტერატურულ პროცესებს; ლიტერატურულ ტექსტს აფასებს და ანალიზებს საკვლევი ეპოქის კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებათა გათვალისწინებით, აკავშირებს მას შესაბამის ლიტერატურულ, კულტურულ თუ სოციალურ კონტექსტებთან; წარმოადგენს ორიგინალურ იდეასა და ხედვას;
- პრაქტიკულად იყენებს ქართული ლიტერატურის ფარგლებში შექმნილ ცოდნას, კულტურულ გამოცდილებასა და ეთიკურ ღირებულებებს; აჩვენებს მათ როლს როგორც თანადროულ საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართებით, ასევე ინტერკულტურულ კონტექსტში;
- ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს; კვლევისას იყენებს სფეროს ძირითად მეთოდებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს; მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას და კვლევის შედეგებს წარუდგენს დარგის სპეციალისტებს და/ან არასპეციალისტებს.

3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ამჟღავნებს ქართული ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და ფაქტების კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს, წვლილი შეაქვს აღნიშნულ სფეროთა დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;
- სხვადასხვა სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც;
- პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და უმცირესობათა ენებს, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა იქნეს გათვალისწინებული სწავლების საფეხურიც — საბაკალავროდან სამაგისტროზე გადასვლისას სტუდენტისათვის დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ინტენსიურად უნდა გამოიყენებოდეს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები.

სტუდენტის შეფასების სისტემა ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსის მიზნებთან მიმართებით. შეფასების სისტემა უნდა იყოს მრავალკომპონენტური და აფასებდეს სწავლის შედეგს იმ კრიტერიუმებით, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, შეფასების მიზნებსა და მეთოდებთან შესაბამისობას, გამჭვირვალობას.

ქვემოთ წარმოდგენილი სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდები ყველაზე გავრცელებულია, სარეკომენდაციო ხასიათისაა და განისაზღვრება კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის ერთობლიობას, რის შედეგადაც მიღწეული იქნება წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

4.1 სწავლება-სწავლის მეთოდები:

უპირველეს ყოვლისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-

სწავლის მეთოდები ხელს უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებასაც.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ლექცია,
- პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვა),
- ელექტრონული სწავლება,
- და სხვ.

4.2. სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოსაყენებელი აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლებელია იყენებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სწავლება-სწავლის პროცესში სწავლის თითოეულ შედეგთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი აქტივობები (უსდ უფლებამოსილია აირჩიოს ჩამოთვლილთაგან რამდენიმე და/ან განსხვავებული მეთოდიც):

- თანამშრომლობითი სწავლა,
- გონებრივი იერიში,
- შემთხვევის ანალიზი,
- მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება,
- ჯგუფური დისკუსია/დებატები,
- ურთიერთშეფასება,
- ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება,
- სტაჟირება,
- პრაქტიკა, მათ შორის სავსე მუშაობა;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება,
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება,
- ვიზიტი სხვადასხვა პროფილის არქივში, მუზეუმსა და ა.შ.;
- შესაბამისი ისტორიულ-კულტურული ძეგლის დათვალიერება/მონახულება,
- ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში,
- კურიკულუმის მიღმა აქტივობები,
- მოწვეული მომხსენებელი,
- და სხვ.

4.3. სტუდენტის შეფასება

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტი უნდა შეფასდეს „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

4.4. შეფასების კომპონენტები და მეთოდები

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების მეთოდებს:

- ზეპირი გამოცდა,
- წერიტი გამოცდა,
- ზეპირი გამოკითხვა,
- წერიტი გამოკითხვა
- საშინაო დავალება, საშინაო ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო,
- პრაქტიკული სამუშაო,
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია,
- და სხვ.

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

- ტესტი,
- ესე,
- დემონსტრირება,
- პრეზენტაცია,
- სასემინარო მოხსენება,
- რეფერატი,
- თეორიული დავალების შესრულება,
- პრაქტიკული დავალების შესრულება,
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა,
- გუნდური მუშაობა,
- შემთხვევის ანალიზი,
- და სხვ.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

4.5. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული კომპონენტი აუცილებელია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო/ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ის უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული თანმიმდევრული სტრუქტურით, მჭიდროდ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელის, მისი შინაარსისა და ფორმის შერჩევა ხდება უსდ-ს მიერ არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის, შინაარსისა და კონცეფციის საფუძველზე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით:

- თეორიულ/სასწავლო კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული/სასემინარო საათებით,
- დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსით/კურსებით,
- აქტიური/პროფესიული/საველე პრაქტიკით,
- და სხვ.

პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების ადეკვატური კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

4.6. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი სასწავლო კურს(ებ)ი. კვლევითი კომპონენტი მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი პროგრამაში და მისი თანამიმდევრული განხორციელებით სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი (სამაგისტრო) ნაშრომის შესრულებით დასტურდება. პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და შესრულებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს ისეთი თეორიული და პრაქტიკული კურს(ებ)ი, რომლებიც ენისა და ლიტერატურის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტს.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (#4084-რს, მიღების თარიღი – 22/07/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.05.001.017899),
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (#688, მიღების თარიღი – 21/12/2004, სარეგისტრაციო კოდი: 430.020.000.05.001.001.626),
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ (#3531, მიღების თარიღი – 21/07/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430.050.000.05.001.004.163),

- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უნდა უზრუნველყოფდეს საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე, შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

განათლების აკადემიური სტანდარტის შესაბამისად, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელშიც შესაძლებელია ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლებით და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველგან, სადაც საჭიროა შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტი. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამით უნდა იყოს გათვალისწინებული კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები და პერსპექტივები.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	რამაზ ქურდაძე	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამა ქართველური ენათმეცნიერების ხელმძღვანელი, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ქართველური ენათმეცნიერების ქვემომართულების ხელმძღვანელი

2.	ირინა ლობჯანიძე	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი, გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, დიגיტალური ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი
3.	მანანა ტაბიძე	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
4.	მარიამ კობერიძე	სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
5.	ნათელა მელიქიძე	სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
6.	მაია ბარამიძე	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

7.	მარიამ მანჯგალაძე	შპს – კავკასიის უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
8.	მარიამ მირესაშვილი	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი, თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
9.	თეიმურაზ გვანცელაძე	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
10.	ნესტან კუტივაძე	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
11.	ბელა წიფურია	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის სადოქტორო

			პროგრამის თანახელმძღვანელი
12.	ნუნუ გელდიაშვილი	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი
13.	ნინო აბესაძე	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის სპეციალისტი
14.	მზია შენგელია	სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული ენის ცენტრი	ფილოლოგიის დოქტორი, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული ლექტორი
15.	ირაკლი ხვედელიძე	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	ფილოლოგიის დოქტორი, ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სამეცნიერო განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი